

# ქართულ ეკონომიკას საფრთხეები

გაზეთი “ახალი თაობა”, 20 ოქტომბერი, № 289, 2007

## ინტერვიუ პარლამენტის დადო პაპავასთან

ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება დისკუსია იმის შესახებ, უნდა ჩანაცვლოს თუ არა ქვეყნის ცენტრალური ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი ე.წ. “სავალუტო საბჭომ”. ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ექსპერტი სტივ ჰენქი, რომელიც ცდილობდა ჩვენი მთავრობა დაერწმუნებინა “სავალუტო ფარის” უპირატესობებში ცენტრალური ბანკის ინსტიტუტთან შედარებით. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის წევრს, პროფესორ დადო პაპავას.

– ბატონო დადო, რა შეგიძლიათ თქვათ ექსპერტ სტივ ჰენქსზე და რას გიშნავს “სავალუტო საბჭო”?

– ამ პიროვნების შესახებ მხოლოდ ის შემიძლია გითხოვათ, რომ 9 წლის წინ ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ კრუგმანმა ის უურნალ “ფორჩუნის” გვერდებზე არა მარტო არაპროფესიონალიზმში, არამედ შარლატანობაშიც ამხილა და მას ინდონეზიური ვალუტის – რუპიის “რასპუტინიც” კი უწოდა. სამწუხარო იქნება, თუ ე.წ. “ჰენქის ანგესს” ჩვენი ხელისუფლებაც წამოეგება... რაც შეეხება სავალუტო საბჭოს, დაგიწყოთ იმით, რომ ინგლისური ტემინი “Currency Board” ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც “სავალუტო ფარი”, ან როგორც “სავალუტო საბჭო”, ან როგორც “სავალუტო რეგულირება”. ტერმინი “სავალუტო ფარი”, ჩემი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს მოვლენის არსე. “სავალუტო ფარის” არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული ვალუტის რომელიმე სტაბილურ უცხოურ ვალუტაზე მიბმა ფიქსირებული გაცვლითი კურსით ხდება. ეს უცილობლად მოითხოვს იმას, რომ ქვეყანას გააჩნდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, რათა ფიქსირებული კურსით ვალუტების გაცვლითი ოპერაციები არ შეფერხდეს: როგორც წესი, სახელმწიფოს ხელთ არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები ემიტირებული ფულის 100 %-ზე მეტი უნდა იყოს, ეს კი უცხოური

ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული. ეთიკური თვალსაზრისით “სავალუტო ფარის” ინსტიტუტი მისასალმებლადაც კი მიიჩნევა, რადგანაც ის მოცემულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევას ზღუდავს. “სავალუტო ფარის” მექნიზმის გამოყენება ცანტრალური ბანკის მიერ მთავრობისათვის სესხის მიცემას საერთოდ გამორიცხავს. საყურადღებოა, რომ უკვე მეორე წელია, რაც საქართველოს ეროვნული ბანკი მთავრობას სესხს აღარ აძლევს და ეს “სავალუტო ფარის” ინსტიტუტის შემოდების გარეშეც გვაქვს მიღწეული. გასათვალისწინებელია, რომ “სავალუტო ფარის” მექნიზმის ასამოქმედებლად მთავრობამ აუცილებლად უნდა თქვას უარი დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე და პქონდეს მცირედი პროფიციტი მაინც, რათა შექმნას საგანგებო დანიშნულების ფონდები (მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდი) გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარ ვითარებაში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი უარს ამბობენ ისეთ პროექტებში მონაწილეობაზე, როცა სახელმწიფო იმპერატიულად სოხოვს მათ დააკრედიტონ ეკონომიკურად არამიმზიდველი პროექტები. ამის მაგალითია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ე.წ. “ნებაყოფლობითი” დაკრედიტება რუსეთის მიერ შესაბამის პროდუქციაზე დაწესებული სავაჭრო ემბარგოს პირობებში.

– რა შემთხვევებშია მიზანშეწონილი “სავალუტო ფარის” შემოღება?

– “სავალუტო ფარის” მექნიზმის შემოღება, როგორც წესი, მიზანშეწონილია მაშინ, როცა ქვეყანაში ძალიან მაღალია ინფლაციის დონე, ანუ ადგილი აქვს პიპერინფლაციას, რამეთუ ერთდროულად სტაბილური გაცლითი კურსისა და პროფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის ქონა მაკროეკონომიკური სატბილიზაციის მიღწევის ქმედითი ინსტრუმენტია. ეს კი დადასტურებულია პრაქტიკითაც, როცა XX საუკინის 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში 2700 %-ს მიღწეული წლიური ინფლაცია სწორედ ამ მექნიზმით მოთოვეს; 1992-1995 წლებში ესტონეთში იმავე მექანიზმით წლიური 1069 %-იანი ინფლაცია 29 %-ზე დაიყვანეს, ხოლო ლიტვაში 1994 წელს წინა წელთან შედარებით 390,2 %-იანი წლიური ინფლაცია 72 %-ამდე შემცირდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში პიპერინფლაცია მხოლოდ 1993-94 წლებში

იყო, როცა თვიური ინფლაცია 50-70 %-ს შეადგენდა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ “სავალუტო ფარი” სულაც არ არის გარანტი იმისა, რომ დია ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნები (დღევანდელი საქართველო კი სწორედ ასეთია) დაიცვას სხვა ქვეყნებში მიმდინარე საფინანსო კრიზისისაგან, რადგანაც ამ შემთხვევაში სტიმული ეძლევა სპეცულაციურ ოპერაციებს. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი 1994 წელს მექსიკური პესოს დევალვაციაა, როცა უცხოური კაპიტალის გაქცევისაგან არგენტინა “სავალუტო ფარმაც” ვერ იხსნა.

### – მაინც რატომ ხართ “სავალუტო ფარის” შემოღების წინააღმდეგი?

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ რიგში მთავრობა პოლიტიკური, ხოლო ცენტრალური ბანკი კი – პროფესიული ორგანოა. სწორედ ამიტომ აქვს ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას დაცვის ბევრად მეტი გარანტია, ხოლო მთავრობა კი პოლიტიკური სიტუაციის ნებისმიერი გამწვავების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, ზომიერი ინფლაციის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტის მხოლოდ უმთავრესად პოლიტიკური ორგანოს – მთავრობის პასუხისმგებლობაზე გადატანა (რაც “სავალუტო ფარის” ინსტიტუტის პრინციპული მოთხოვნაა), განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მას ხელო აქვს სტატისტიკური ინფორმაციით მანიპულირების “იარაღი”, წინდაუხედაობით გამოწვეული უდიდესი შეცდომა იქნება. გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო “პოლანდიური დაავადებით” დაგვიავადდა: დაიწყო დიდალი უცხოური ვალუტის - ძირითადად, აშშ დოლარის შემოდინება, რამაც ხელი შეუწყო ლარის გამყარებას. ეს კი უწინარეს ყოვლისა უარყოფითად აისახება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე. საქართველოში ამ დაავადების გამომწვევი მიზეზებია: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექნიზმით განპირობებული ყოფილი ჩინოვნიკების მიერ ე.წ. “თავისუფლების საფასურის” გადახდა (როცა, როგორც წესი, აშშ დოლარებში დაგროვებულ თანხებს ხელისუფლებას უბრუნებდნენ ეროვულ ვალუტაში), საფინანსო წესრიგის დამყარება განსაკუთრებით საბაჟოზე, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ ახლობლებისათვის ფულადი გზავნილები (როგორც წესი, აშშ დოლარებში, რომლებიც მიმდინარე ხარჯების განასხორციელებლად ლარებში გადაიყვანება), უცხოელების

მონაწილეობით განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როცა ქვეყნის შიგნით ამ ოპერაციების განსახორციელებლად უცხოელებს უხდებათ უმთავრესად აშშ დოლარის კონკურენტაცია ლარში. “პოლანდიური დაავადებით” გამოწვეული ლარის გამყარების პროცესის შეფერხების მიზნით ეროვნული ბანკი ლარის გაყიდვით ყიდულობს ქვეყანაში შემოსულ აშშ დოლარებს. ეს ოპერაცია ერთის მხრივ ზრდის ეროვნული ბანკის რეზერვებს და შედარებით “ნარნარს” ხდის ლარის გამყარების პროცესს, მაგრამ იმავდროულად ლარის დამატებითი მასის ბრუნვაში გაშვებით ხელს უწყობას ინფლაციის გაზრდას. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი იყოს პროფიციტური, რაც უნდა გახდეს ინფლაციის მოთოკვის ქმედითი მექანიზმი. სინამდვილეში კი საქართველოს მთავრობამ 2007 წელსაც შეინარჩუნა დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტი, თანაც საქართველოში დღეს მოქმედი კანომდებლობით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები ბიუჯეტის შემოსავლებში გაითვალისწინა. კერძოდ, ოფიციალურად გაცხადებული დეფიციტის მოცულობა 2007 წელს 374,2 მლნ ლარია, ხოლო პრივატიზაციიდან მისაღები 400 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებშია “დამალული”.

– როგორც მახსოვს, თქვენ პარლამენტში ამ სიკონიჟე მთავრობასთან უთანხმოებაც კი გქონდათ...

– სამწუხაროდ, მთავრობამ ჩემ მიერ პარლამანტში დაყენებული ის წინადაღება არ გაიზიარა, რომ შექმნილიყო სტაბილიზაციის ფონდი, სადაც პრივატიზაციიდან მისაღები თანხის ნახევარის აკუმულირება მაინც მოხდებოდა, რაც შეამცირებდა ეკონომიკაზე ინფლაციურ წნებს. ამჟამად კვალავ არის მომზადებული მთავრობის მიერ მორიგი ცვლილებები 2007 სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის თანახმადაც დეფიციტის ოფიციალურად დამტკიცებული ოდენობის უცვლელობის პირობებში პრივატიზაციიდან მისაღები თანხები 140 მლნ ლარით უნდა გაიზარდოს, ხოლო სტაბილიზაციის ფონდის შექმნის საკითხს კი მთავრობა მაინც არ განიხილავს. სახელმწიფო ბიუჯეტის 2008 წლის პროექტის თანახმად, პრივატიზაციიდან მისაღები თანხები უკვე გამოტანილია შემოსავლებიდან და ასახულია არასაფინანსო აქტივების ცვლილებაში, რაც მისასალმებელია, თუმცა მომავალი წლის

ბიუჯეტი მაინც დეფიციტური იქნება. კერძოდ, დეფიციტი 60 მლნ ლარზე მეტი თვეწლითაა გათვალისწინებული. როგორც მოსალოდნელი იყო სტაბილიზაციის ფონდის შექმნას არც 2008 წლისათვის უნდა ველოდოთ. თუ კი მხედველობაში იმ გარემოებასაც მივიღებთ, რომ ამა წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის რეალური შესრულების მდგომარეობის თანახმად შემოსავლებმა ხარჯებს დაახლოებით 39 მლნ ლარით გადააჭარბა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ფაქტობრივი შესრულებით ექვს თვეში ბიუჯეტი პროფიციტური იყო, მაშინ საქართველოში ინფლაციის რეალურად არსებული მაღალი დონე იმით აიხსნება, რომ მთავრობა ისეთ ხარჯებასაც გაიღებს, რომლებსაც არანაირი ეკონომიკური უპუგება არ გააჩნიათ.

### – ამ ხარჯებში რას გულისხმობთ?

– ასეთი ხარჯების მაგალითები ბევრია: შადრევნების გაუთავებელი მშენებლობა, სტუდენტებისათვის ვითომდა ქალაქების დასუფთავებისათვის ხელფასების გადახდა, ან ვითომდა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეულობით მიღიონი ლარის ხარჯვა იმ უმუშევრებისათვის რამოდენიმე თვის განმავლობაში ხელფასების გაცემაზე, ვინც მოახერხებს ცნობის შოვნას, რომ იმავე პერიოდით კერძო სექტორში ნახა სამსახური.

– აშკარაა, რომ მოსახლეობა შეწუხებულია ინფლაციის მაღალი დონით. როგორია თქვენი აზრი ამ პრობლემაზე?

– ინფლაციაზე საუბარი არასრულფასოვანია თუ კი არ შევეხეთ მის ფაქტობრივ დონეს, რაც საქართველოს სინამდვილეში, სამწუხაროდ, შეუძლებელია. 2004 წლის დასაწყისში რევოლუციურ ტალღაზე ჩატარებული ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიყვანეს, რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტია. ამ გარემოების გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მთავრობა, ისევე როგორც ეს საბჭოური ტრადიციიდან გამომდინარეობდა, დაინტერესებულია მხოლოდ მისი საქმიანობის შემქები სტატისტიკური ინფორმაცია შექმნას და გამოაქვეყნოს. სწორედ ეს არის

ერთადერთი “იარაღი”, რითაც მთავრობა “წარმატებით” ებრძვის ინფლაციას. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ, რომ 2006 წლის აგვისტოში მთავრობას გაეპარა სატისტიკის დეპარტამენტის მიერ წლიური ინფლაციის 14,5 პროცენტის დონეზე (თუმცა ექსპერტების შეფასებით ინფლაცია ბევრად მაღალი იყო) დაფიქსირება, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა მოყვა. მთავრობის რეაქცია ამაზე სულაც ყოფილა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ან უაზრო ხარჯებზე უარის თქმა; მთავრობამ შეცვალა სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამით უზრუნველყო 2006 წლის ბოლოსათვის წლიური ინფლაციის დონის 8,8 %-მდე დაყვანა. 2007 წელს კი სტატისტიკის “მოჭკვიანებული” დეპარტამენტი მსგავს “შეცდომებს” აღარ უშვებს და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი სამომხმარებლო პროდუქცია არსებითადაა გაძვირებული, ინფლაციის ზრდას 2007 წლის სექტემბერში 2006 წლის დეპემბერთან შედარებით მხოლოდ 6,2 %-ით აფიქსირებს.

– ბატონო ლადო, თუ კი მაინც იქნა შემოღებული “სავალუტო ფარი”, მაინც რას უნდა გელოდოთ?

– “ჰოლანდიური დაავადება” ერთვის მხრივ “სავალუტო ფარის” რეჟიმის ამოქმედებას უწყობს ხელს, რადგან უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოღინება ზრდის სახელმწიფოს ხელთ არსებულ სავალუტო რეზერვებს. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობა არა მარტო შეუძლებელს ხდის “სავალუტო ფარის” შემოღებას, არამედ ჰოლანდიური დაავადების გამწვავებასაც უწყობს ხელს. და თუ “სავალუტო ფარს” მაინც შემოვიღებთ, მაშინ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ლარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნება საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებს.

იმ შემთხვევაში კი, თუ “ჰოლანდიური დაავადების” ზემოხსენებული მიზეზები შესუსტდა ან საერთოდ გაქრა, მაშინ საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალისა და რუსეთის მიერ დაწესებული სავაჭრო ემბარგოს გათვალისწინებით ხსენებული სავალუტი რეზერვი მყისიერად დაიცლება, რაც მძიმე საფინანსო კრიზისის მიზეზი გახდება. “სავალუტო ფარის” რომელიმე აპოლოგეტი შესაძლოა შემოგვედაოს და გვითხრას, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის შემოღება შეიძლება გახდეს ის იძულების მექანიზმი,

რომ მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩეს გარდა იმისა, რომ დეფიციტურიდან პროფიციტურ ბიუჯატზე გადავიდეს. ეს კი მხოლოდ იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ კი მთავრობა ამგვარ დავალებას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალისაგან მიიღებს, რასაც ლოგიკურად 2008 წელსაც არ უნდა ველოდოთ, რამეთუ როგორც ითქვა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად გაისადაც ბიუჯეტი დეფიციტური იქნება. დაბოლოს, “სავალუტო ფარის” ინსტიტუტზე გადასვლას კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების მიღება სჭირდება, რაც საპარლამენტო ძალების დღევნდელი განლაგებით, საბედნიეროდ, ნაკლებ სავარაუდოა. თუმცა როგორც იტყვიან:

“კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო”...

**შორენა კოწოწაშვილი**